საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 355/14
„31" დეკემბერი 2008

დასკვნა

"ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანების მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ" გაერო-ს 1980 წლის 10 ოქტომბრის კონვენციის "ომის ფეთქებადი ნარჩენების შესახებ მე-5 ოქმის" თაობაზე

სამინისტრომ განიხილა "ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანების მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ" გაეროს 1980 წლის 10 ოქტომბრის კონვენციის "ომის ფეთქებადი ნარჩენების შესახებ მე-5 ოქმი" და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზაშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი ოქმის საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარება.

გრიგოლ ვაშაძე
მინისტრი მოადგილე

0118 თბილისი, შო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678
www. mfa.gov.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 07-04/14817
„17" 12 2007

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი 2007 წლის 7 დეკემბრის №2/20294-14 წერილი, რომელიც ეხება "ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანების მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ" გაერო-ს 1980 წლის 10 ოქტომბრის კონვენციის "ომის ფეთქებადი ნარჩენების შესახებ" მე-5 ოქმს.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმოდგენილი ოქმის მიმართ ფინანსური ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია. ამასთან, ოქმით გათვალისწინებული საქართველოს მხარის მიერ გასაწევი ხარჯების დაფინანსება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უნდა განახორციელოს მისთვის წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში.

დიმიტრი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
№ 24297/2
„18" 12 2007

ქ. თბილისი, 0162, ი. აბაშიძის ქ. №70, www.mof.ge 70, I. Abashidze str., 0162, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (995 32) 226805, 290778, ფაქსი/Fax: (995 32) 292368

საქართველო
GEORGIA

იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

№ 01/23/03-8
03 " 01 " 2008 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტროს საერთაშორისო
სამართლებრივი დეპარტამენტის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

თქვენი მიმდინარე წლის 7 დეკემბრის №2/20292-14 წერილის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა „ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანების მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ" გაერო-ს 1980 წლის 10 ოქტომბრის კონვენციის მე-5 ოქმი „ომის ფეთქებადი ნარჩენების შესახებ" და გაცნობებთ:

წარმოდგენილ ოქმთან მიმართებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გაგვაჩნია.

საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად ოქმი ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას. საქართველოს მხრიდან აღნიშნული ოქმის რატიფიცირების საკითხი უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

პატივისცემით,

თ.

თამარ ქოჩორაძე
საერთაშორისო სამართლებრივი
ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

№ 468/2-04
11.01.2008

საქართველო, თბილისი, 0146, რუსთაველის გამზ. 30 ტელ/ფაქსი: 75-82-37, ელ. ფოსტა: ministry@justice.gov.ge
30 Rustaveli ave., Tbilisi, Georgia, Tel /Fax: (99532) 75 82 37, E-Mail: ministry@justice.gov.ge

საქართველო
GEORGIA

თავდაცვის სამინისტრო
MINISTRY OF DEFENCE

№ 12/5
„03" 01 2008 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის
დირექტორის მ.შ. *ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს*

ქალბატონო ხათუნა,

თქვენი, 2007 წლის 7 დეკემბრის №2/20295-14 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანების მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ" გაერო-ს 1980 წლის 10 ოქტომბრის კონვენციის V ოქმთან „ომის ფეთქებადი ნარჩენების შესახებ" დაკავშირებით წინადადებები და შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ნინო ბაქრაძე

საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური
ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი

0112 ქ. თბილისი, გენერალ გ. ყვინიტაძის ქ. 20 ტელ./ფაქსი: (+995 32) 912058
20 General G. Kvinitadze Str. 0112, TBILISI, GEORGIA, Tel./Fax: (+995 32) 912058

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

№ 7/9-1141 „21" 03 2008 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორს
ბატონ **ირაკლი გივიაშვილს**

ბატონო ირაკლი,

თქვენი 2007 წლის 7 დეკემბრის №2/20293-14 წერილის პასუხად, რომელიც „ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანების მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ" 1980 წლის ჟენევის კონვენციის „ომის ფეთქებადი ნარჩენების შესახებ" მე-5 ოქმს ეხება, გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ ოქმთან საქართველოს შეერთება.

პატივისცემით,

ნათია გვაზავა
საერთაშორისო თანამშრომლობის
სამმართველოს უფროსი

№4773/2-14
24 03 8

0114, თბილისი, გ. გულუას ქ. 10, ტელ.: (+995 32) 272883, ფაქსი: (+995 32) 272963, ელ ფოსტა: info@pol.ge